ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მდგრადი საჯარო შესყიდვების კუთხით განხორციელებული რეფორმები და პრაქტიკა საქართველოში

2023 წ.

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP | სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

შენიშვნა

„მდგრადი საჯარო შესყიდვების კუთხით განხორციელებული რეფორმები და პრაქტიკა საქართველოში“ მომზადდა ევროკავშირი გარემოსთვის (EU4Environment) პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და იმპლემენტირებულია OECD-ის, UNECE-ის, UNEP-ის, UNIDO-სა და მსოფლიო ბანკის მიერ. ანგარიში მომზადებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა (UNEP-ის იმპლემენტაციის პარტნიორი საქართველოში) და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მხარდაჭერით, UNEP-ის დახმარებით.

ანგარიშის ავტორი:
ლევან ბაინდურაშვილი — EU4Environment პროექტის ჯგუფის ექსპერტი.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მხოლოდ ავტორის მოსაზრებებს და არ შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც ევროკავშირის ან მისი წევრების ან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობების ან იმპლემენტაციის პარტნიორების ოფიციალურ მოსაზრებებად. ეს დოკუმენტი და დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი რუკა, წარმოდგენილია იმ რწმენით, რომ არ აზიანებს რომელიმე ტერიტორიის სტატუსს ან სუვერენიტეტს, საერთაშორისო საზღვრებსა და საზღვრების დელიმიტაციას და ნებისმიერი ტერიტორიის, ქალაქის ან ადგილის სახელწოდებას.

ეს დოკუმენტი შემუშავებულ იქნა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

დასაშვებია ამ დოკუმენტის ტექსტის გამოყენება წყაროს მითითების პირობით. აღნიშნული დოკუმენტის გაყიდვა აკრძალულია. გთხოვთ, ამ პუბლიკაციის ციტირება მოახდინეთ შემდეგი სახით: *EU4Environment (2023), „მდგრადი საჯარო შესყიდვების კუთხით განხორციელებული რეფორმები და პრაქტიკა საქართველოში“.*

© 2023, UNEP. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირის მიერ პირობებით.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი მადლობას უხდის ყველა ექსპერტსა და საჯარო უწყებას, რომელმაც წვლილი შეიტანა ანგარიშის მომზადებაში.

სარჩევი

გამოყენებული აკრონიმები 4

1. შესავალი 5

2. მდგრადი საჯარო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა 9

3. ტენდერები მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმებით 17

4. დასკვნები 19

დანართი N1: ტენდერების მაგალითები მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმებით 22

ბიბლიოგრაფია 29

გამოყენებული აკრონიმები

მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
CNG	კომპრესირებული ბუნებრივი აირი
CPV	შესყიდვების საერთო ლექსიკონი
EU4Environment	ევროკავშირი გარემოსთვის
GPP	მწვანე საჯარო შესყიდვები
N411 დადგენილება	„სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების, აგრეთვე ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ეროვნული მონეტარული ზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N411 დადგენილება
OCP	ღია კონტრაქტების პარტნიორობა
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
SDG	გლობალური მდგრადი განვითარების მიზნები
SPP	მდგრადი საჯარო შესყიდვები
UNEP	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსდაცვითი პროგრამა

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიშში გაანალიზებულია საქართველოში არსებული სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკა, მოყვანილია შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები და მიმოხილულია მდგრადი საჯარო შესყიდვების (SPP) მიდგომის დამკვიდრებასთან დაკავშირებული ინიციატივები და საკანონმდებლო რეფორმები. აგრეთვე, გაანალიზებულია სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კონკრეტული შესყიდვები მდგრადობის, ენერგოეფექტურობისა და გარემოსადმი მეგობრული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ბოლო წლებში მდგრადი საჯარო შესყიდვების როლის ზრდა განპირობებულია მსოფლიოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების უფრო მეტად აქტუალიზაციით. ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი დეფინიციის [1] მიხედვით მდგრადი შესყიდვა არის:

„პროცესი, რომლის დროსაც ორგანიზაციები საკუთარ მოთხოვნილებებს საქონელზე, მომსახურებაზე, სამუშაოსა და კომუნალურ მომსახურებაზე იკმაყოფილებენ ისე, რომ მიღწეულ იქნეს ხარჯთეფექტურობა მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, იმგვარად, რომ სარგებელი მიიღოს არამხოლოდ შემსყიდველმა ორგანიზაციამ, არამედ საზოგადოებამ და ეკონომიკამ, გარემოსთვის მინიმალური ზიანის მიყენების გზით“.

2015 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებულ იქნა „2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“ და განისაზღვრა გლობალური მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDG)[2]. აღნიშნული მიზნების მიღწევაში მდგრადი საჯარო შესყიდვების მოდელის დანერგვას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რაც მათ შორის ხელს შეუწყობს მე-12 მიზნის - ე.წ. პასუხისმგებლიანი მოხმარებისა და წარმოების მიდგომის განხორციელებას; ამავდროულად, რესურსების ეფექტიან ათვისებას და გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირებას.

[1] იხ. Procuring the Future - Sustainable Procurement National Action Plan: Recommendations from the Sustainable Procurement Task Force: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/69417/pb11710-procuring-the-future-060607.pdf

[2] იხ. Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development: https://sdgs.un.org/2030agenda

სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებს მაღალი მსყიდველობითი შესაძლებლობები გააჩნიათ, რაც სახელმწიფოს მიერ, მის ხელთ არსებულ სხვა მექანიზმებთან ერთად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. მდგრადი განვითარების განხორციელებაში საჯარო შესყიდვების უდავოდ დიდ მნიშვნელობას ხაზს უსვამს მსოფლიოში და საქართველოში არსებული შესყიდვების სტატისტიკები. კერძოდ, "ღია კონტრაქტების პარტნიორობის" (OCP) მიერ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად[3], 2018 წლის მონაცემებით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით საჯარო შესყიდვები 11 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც იმავე წლის გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) (დაახლოებით 86 ტრილიონი აშშ დოლარი) დაახლოებით 13%-ს უტოლდება. ასევე, მშპ-ს საშუალოდ 13%-ს შეადგენს საჯარო შესყიდვების წილი „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" (OECD) წევრ ქვეყნებში[4]. ევროკავშირის მასშტაბით, 250,000 საჯარო შემსყიდველი უწყების მიერ ყოველწლიურად დაახლოებით 2 ტრილიონი ევროს ღირებულების საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა ხორციელდება, რაც ევროკავშირის მშპ-ს 14%-ს შეადგენს[5].

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების მოცულობები წლიდან წლამდე ზრდის დინამიკით ხასიათდება (იხ. N1 დიაგრამა და N2 დიაგრამა)[6]. 2021 წლის განმავლობაში სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ჯამში გამოცხადდა 32,000-მდე

[3]იხ. How governments spend: Opening up the value of global public procurement https://www.open-contracting.org/wp-content/uploads/2020/08/OCP2020-Global-Public-Procurement-Spend.pdf
[4] იხ. https://www.oecd-ilibrary.org/sites/18dc0c2d-en/index.html?itemId=/content/component/18dc0c2d-en
[5] იხ. https://single-market-economy.ec.europa.eu/single-market/public-procurement_en
[6] შენიშვნა: 2020 წელს სახელმწიფო შესყიდვების მოცულობების მკვეთრად შემცირება გამოწვეული იყო კოვიდ პანდემიით განპირობებული შეზღუდვებისა და დაბალი ეკონომიკური აქტივობის გამო.

ელექტრონული ტენდერი. ხოლო, სახელმწიფო შესყიდვების მთლიანმა მოცულობამ 5.8 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც ქვეყნის მშპ-ს 10%-ს უტოლდება (იხ. N3 დიაგრამა)[7].

<u>დიაგრამა N1:</u> 2017-2021 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების სახელშეკრულებო ღირებულებები (მლრდ ლარი)



[7] 1-ელ, მე-2 და მე-3 დიაგრამებზე ასახული სტატისტიკური მონაცემები აღებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019, 2020 და 2021 წლების საქმიანობის ანგარიშებიდან:
http://procurement.gov.ge/files/showfiles?id=753badc3-0ada-4fe4-9639-481664f946ec
http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=19539b18-4d67-42d9-80a0-12b91622ca28
http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=c2f122ad-9047-43a7-9f93-44d615a997ac

<u>დიაგრამა N2:</u> 2017-2021 წლებში სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების რაოდენობები



<u>დიაგრამა N3:</u> სახელმწიფო შესყიდვების წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 2019-2021 წლების მონაცემებით



ზემოთმოყვანილი სტატისტიკებიდან ნათლად ჩანს საჯარო შესყიდვების მნიშვნელოვანი წილი გლობალურ ეკონომიკაში. შესაბამისად მდგრადი საჯარო შესყიდვები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ხელისუფლებების მიერ, როგორც პოლიტიკის გატარების ეფექტიანი ინსტრუმენტი, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

წინამდებარე ანგარიშის მომდენო თავებში განხილულია საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის და შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნისათვის განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმები. ასევე, ამ კუთხით საქართველოში არსებული სიტუაციის ანალიზისათვის განხილულია მდგრადი საჯარო შესყიდვების მაგალითები და არსებული გამოწვევები.

2. მდგრადი საჯარო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა

საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების მოდელის იმპლემენტაციის, ენერგოეფექტური საქონლის მოხმარებისა და წარმოების და ენერგორესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, ბოლო წლებში რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა და რეფორმა განხორციელდა.

გატარებული საკანონმდებლო რეფორმებიდან, პირველ რიგში აღსანიშნავია 2023 წლის თებერვალში მიღებული საქართველოს ახალი კანონი საჯარო შესყიდვების შესახებ, რომლის მოქმედებაც გავრცელდება 2025 წლის 1 იანვრიდან გამოცხადებულ საჯარო შესყიდვებზე[8]. კანონის შემუშავება განხორციელდა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, სხვა სახელმწიფო უწყებების ჩართულობითა და საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური მხარდაჭერით. საჯარო შესყიდვების ახალი კანონი შემუშავდა, გატარებული რიგი რეფორმების ფარგლებში, რომლებიც დაფუძნებულია, საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციის მიზნებზე. ამგვარად, ახალი კანონი სრულად თანხვედრაშია ევროკავშირის საჯარო შესყიდვების მარეგულირებელ დირექტივებთან, როგორც მათ პრინციპებთან, ისე დადგენილ შესყიდვის პროცედურებთან და მათთან დაკავშირებულ მექანიზმებთან. ახალი კანონით დადგენილი ნორმების სრულყოფილი ანალიზი სცილდება წინამდებარე დოკუმენტის მომზადების მიზნებს, თუმცა ხაზგასასმელია რამდენიმე ნორმა, რომელიც არეგულირებს უშუალოდ მდგრადი საჯარო შესყიდვების პრინციპს და პროცედურებს.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული EU4Environment პროგრამის ფარგლებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მხარდაჭერით, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა მდგრად საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული კონკრეტული საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც

[8] 2025 წლის 1 იანვრამდე იმოქმედებს საქართველოს არსებული კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

დაემატა ახალ კანონს საჯარო შესყიდვების შესახებ. კერძოდ, განისაზღვრა ფუნდამენტური პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება საჯარო შესყიდვების განხორციელება, მათ შორის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს საჯარო შესყიდვის განხორციელებისას მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევა. ასევე, შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ უფლება, რომ ეკონომიკურ ოპერატორებს მოსთხოვონ მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად სოციალური, გარემოსდაცვითი და შრომითი სამართლებრივი ნორმების დაცვა. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებული იქნებიან შესყიდვის პირობებში გაითვალისწინონ მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი პირობები. საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამატებით განსაზღვრული იქნება საჯარო შესყიდვის განხორციელებისას იმ შესყიდვის ობიექტის CPV კოდების ნუსხა, რომლის შესყიდვისას მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი პირობების გათვალისწინება სავალდებულო იქნება; აგრეთვე დადგენილებით განისაზღვრება საჯარო შესყიდვის პროცედურაში ამ პირობების მითითების წესი და მეთოდოლოგია.

გარდა ახალი კანონისა საჯარო შესყიდვების შესახებ, ბოლო წლებში საქართველოში ინიციირებულ და მიღებულ იქნა სხვა რამდენიმე საკანონმდებლო რეფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს საჯარო შესყიდვების კანონის მიერ განსაზღვრული მდგრადი საჯარო შესყიდვების მიდგომების დანერგვას რეალურ პრაქტიკაში. ქვემოთ ჩამოთვლილია და შინაარსობრივად მიმოხილულია აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები.

- 2019 წელს მიღებულ იქნა „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონი[9], რომლის მიზანია ენერგომომხმარებელი საქონლის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარების მაჩვენებლების შესახებ სტანდარტული და დამატებითი ინფორმაციის მითითების უზრუნველყოფა. აღნიშნული ეტიკეტირების წესი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეარჩიოს მისთვის სასურველი ენერგომოხმარების პარამეტრების მქონე საქონელი და ამით შეამციროს ენერგიისა და სხვა რესურსების დანახარჯები.
- 2020 წელს გამოიცა „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონი[10]. კანონის მიზანია შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, რაც განაპირობებს ენერგორესურსების ეფექტიან გამოყენებას.
- აგრეთვე, 2020 წელს საქართველოს მიერ მიღებულ იქნა კანონი „ენერგოეფექტურობის შესახებ“[11]. აღნიშნული კანონის მიზნებია ენერგიის დაზოგვის, ენერგიის მიწოდების უსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის ზრდის უზრუნველყოფა, ასევე ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

---

[9] იხ. „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4745123?publication=1

[10] იხ. „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონი: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4873932?publication=1

[11] იხ. „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4873938?publication=0

- გარდა ზემოთ მოხსენიებული კანონებისა, 2022 წელს მიღებულ იქნა და 2025 წლის 1-ელი იანვრიდან ამოქმედდება „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების, აგრეთვე ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ეროვნული მონეტარული ზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N411 დადგენილების პროექტი[12] (შემდგომში: N411 დადგენილება).

ზემოხსენებული დადგენილების მიზანია სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული ტენდერებისა და კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით განხორციელებისას ენერგოეფექტურობის კრიტერიუმების გამოყენების წესისა და პირობების დადგენა. ენერგოეფექტური შესყიდვების ხელშეწყობის მიზანია სახელმწიფოს მიერ შესყიდული საქონელის ენერგომოხმარების შემცირება მთლიანი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და ამგვარი საქონლის შესყიდვების წახალისება, რაც დადებით ეკონომიკურ ეფექტს იქონიებს ადგილობრივ ბაზარზე ენერგოეფექტური საქონლის წარმოების ხელშეწყობის კუთხით.

აღნიშნული დადგენილების პროექტის N1 დანართით განსაზღვრულია ენერგიის მომხმარებელი 20 სხვადასხვა შესყიდვის ობიექტი[13], რომელთა შესყიდვის შემთხვევაში სავალდებულო იქნება დადგენილების მოთხოვნებისა და პირობების გათვალისწინება და აგრეთვე, 46 სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაცია, რომლებიც ვალდებულნი იქნებიან ზემოთ ხსენებული შესყიდვის ობიექტების შესყიდვისას იხელმძღვანელონ N411 დადგენილებით განსაზღვრული ნორმებით. აქვე უნდა ითქვას, რომ დადგენილების ნორმების გამოყენება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება დადგენილ ეროვნულ მონეტარულ ზღვრებს. ამასთანავე, სურვილის შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციებს, ნებაყოფლობით შეეძლებათ დადგენილების ნორმების გამოყენება დადგენილ მონეტარულ ზღვრებზე ნაკლები სავარაუდო ღირებულების შესყიდვის ობიექტების შემთხვევაშიც.

იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა შეგვქმნოდა სახელმწიფო შესყიდვების რა წილზე შეიძლება პოტენციურად გავრცელდეს N411-ე დადგენილების მოქმედება, ჩვენ ჩავატარეთ დადგენილების N1 დანართით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტებზე გამოცხადებული ტენდერების სტატისტიკური ანალიზი.

ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკები მოიცავს 2021 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში შესყიდვების სიტემა) მეშვეობით, სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ელექტრონული ტენდერებისა და კონსოლიდირებული ტენდერების მონაცემებს. ამასთან,

---

[12] „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების, აგრეთვე ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ეროვნული მონეტარული ზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N411 დადგენილება: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5536747?publication=0

[13] დადგენილებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტების ნუსხა მოცემულია წინამდებარე ანგარიშის N1 ცხრილში.

კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა ზუსტი საპროგნოზო მონაცემების მომზადება იმ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლებზეც N411-ე დადგენილების ნორმები მისი ამოქმედებიდან გავრცელდება. ამასთანავე, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე, წინასწარ შეუძლებელია იმის განსაზღვრა თუ სახელმწიფო შესყიდვების რამდენ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენებენ შემსყიდველი ორგანიზაციები N411-ე დადგენილების ნორმებს ნებაყოფლობით, შესყიდვის სხვა კატეგორიებზეც. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ ზემოთ ხსენებული ეროვნული მონეტარული ზღვრები ექვემდებარება გადახედვას და შესაბამისად კორექტირებას.

ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2021 წლის განმავლობაში, ზემოხსენებული დადგენილებით განსაზღვრული საქონლის შესყიდვებზე ჯამში გაფორმდა 500-მდე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება. ხოლო, ხსენებული შესყიდვების ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 18 მილიონი ლარამდე თანხა შეადგინა, რაც როგორც N4 დიაგრამაზეა გამოსახული იმავე საანგარიშო პერიოდში სახელმწიფოს მიერ შესყიდული ყველა ტიპის საქონლის 3%-ს შეადგენს.

<u>ცხრილი N1:</u> მთავრობის N411 დადგენილების 1-ელი დანართით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტების CPV კოდებით, 2021 წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერების მონაცემები

CPV კოდი	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა ტენდერებში	ტენდერების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა	ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება
31500000 - გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები	2	256	11,028,568
42512000 - ჰაერის კონდიცირების საშუალებები	2	60	2,753,199
39711100 - მაცივრები და საყინულეები	2.6	47	1,180,215
39715000 - წყლის გამაცხელებლები და შენობების გასათბობი სისტემა, სანტექნიკის მოწყობილობა	2.4	37	694,340

39711360 - ღუმელები	2	14	471,643
44621000 - რადიატორები და ბოილერები	1.7	17	362,555
39713200 - ტანსაცმლის სარეცხი და საშრობი მანქანები	2	17	325,180
39714000 - სავენტილაციო ან გამწოვი კარადები	2	14	310,053
39714110 - გამწოვი ვენტილატორები	1.9	11	261,134
39713100 - ჭურჭლის სარეცხი მანქანები	2.3	7	112,906
42513000 - სამაცივრე და საყინულე დანადგარები	1.6	8	97,697
32324100 - ფერადი ტელევიზორები	1.6	5	97,353
42160000 - ბოილერის დანადგარები	1	3	92,392
09331000 - მზის პანელები	2	1	85,329
39721410 - გაზის დანადგარები	2	5	25,336
39717100 - ვენტილატორები	1	1	16,777

42214100 - საჭმლის მოსამზადებელი ღუმელები	-	0	0
39721310 - ჰაერგამათბობლები	-	0	0
32324600 - ციფრული ტელევიზორები	-	0	0
42716200 - საშრობი მანქანები	-	0	0
	ჯამი:	503	17,914,677 ლარი

<u>დიაგრამა N4:</u> მთავრობის N411 დადგენილებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტების CPV კოდებით 2021 წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერების თანხობრივი წილი მთლიანად საქონლის კატეგორიის შესყიდვებში



გარდა ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო რეფორმებისა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული EU4Environment პროგრამის ფარგლებში, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მხარდაჭერით, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, მდგრადი საჯარო შესყიდვების ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში იმპლემენტაციისათვის არაერთი აქტივობა განხორციელდა. მათ შორის, მომზადებულ იქნა მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ

საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის პროექტი („საჯარო შესყიდვის განხორციელებისას მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ“). დადგენილების დანართი ითვალისწინებს იმ შესყიდვის ობიექტების CPV კოდებს, რომელთა შესყიდვისას სავალდებულო იქნება მდგრადი განვითარების მახასიათებლების გათვალისწინება [14]. წინამდებარე ანგარიშის მომზადების ფარგლებში განხორციელდა ზემოთ მოხსენიებული დადგენილების პროექტის დანართით შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტების (სხვადასხვა სახის კარტრიჯები, პრინტერები და პლოტერები და საწმენდი/საპრიალებელი პროდუქცია) სტატისტიკური ანალიზი. კვლევა მოიცავს 2021 წლის განმავლობაში სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ, შესყიდვების სისტემის მეშვეობით განხორციელებულ ელექტრონულ და კონსოლიდირებულ ტენდერებს [15]. ჩატარებული ანალიზის მიხედვით, აღნიშნულ შესყიდვის ობიექტებზე, 2021 წლის განმავლობაში ჯამში გაფორმდა 841 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება და მათმა საერთო ღირებულებამ 11.5 მილიონი ლარი შეადგინა. მოცემული თანხა სხვა დანარჩენი საქონლის კატეგორიის მქონე შესყიდვების 2%-ს უტოლდება.

<u>ცხრილი N2:</u> 2021 წლის განმავლობაში ტენდერების და კონსოლიდირებული ტენდერების საფუძველზე შესყიდული კარტრიჯების, პრინტერების და საწმენდი პროდუქციის მოცულობები

CPV კოდი	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა ტენდერებში	ტენდერების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა	ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება
30125100 - ტონერიანი კარტრიჯები	2	632	5,645,483
30192113 - მელნის/საღებავის კარტრიჯები	1.8	17	193,377
30232100 - პრინტერები და პლოტერები	1.5	95	4,104,365

[14] დადგენილებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტების ნუსხა მოცემულია ანგარიშის N2 ცხრილში.
[15] იხ. N2 ცხრილი და N5 დიაგრამა.

39800000 - საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია	2	97	1,552,993
	ჯამი:	841	11,496,218 ლარი

<u>დიაგრამა N5:</u> 2021 წლის განმავლობაში ტენდერების და კონსოლიდირებული ტენდერების საფუძველზე შესყიდული კარტრიჯების, პრინტერების და საწმენდი პროდუქციის წილი მთლიანად საქონლის კატეგორიის შესყიდვებში



შეჯამებისათვის, შესაძლებელია ითქვას, რომ გატარებული რეფორმების შედეგად, 2023 წლისთვის საქართველოს უკვე გააჩნია მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელიც შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან. როგორც უკვე აღინიშნა, ნაწილი საკანონმდებლო ნორმებისა უკვე შესულია ძალაში და მათი გამოყენება არის სავალდებულო, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც უშუალოდ გაწერილია ახალ კანონში საჯარო შესყიდვების შესახებ და მთავრობის N411 დადგენილებაში ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან.

მომდევნო თავში განხილულია დღეს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში განხორციელებული საჯარო შესყიდვების პრაქტიკა და ასევე, დანართის სახით მოცემულია ტენდერების მაგალითები მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმებით.

3. ტენდერები მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმებით

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, გაანალიზებულ იქნა სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების არსებული პრაქტიკა მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმების გათვალისწინებით. აღნიშნული კვლევა მოიცავს სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ბოლო 5 წლის მანძილზე გამოცხადებულ ტენდერებს[16]. აქვე უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, ამ ეტაპზე არ არის ჩაშენებული ინფორმაციის ფილტრაციის ისეთი ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც მარტივად, მოხერხდებოდა სისტემაში იმ შესყიდვების იდენტიფიცირება, რომლებიც შეიცავს მდგრადობის, ენერგოეფექტურობისა და გარემოსადმი მეგობრულ კრიტერიუმებს და პირობებს. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ არსებული პრაქტიკის გაანალიზება განხორციელებულიყო მაქსიმალურად ეფექტიანად, შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა შედარებით მოცულობითი ტენდერები, რომლების შესყიდვის ობიექტებს წარმოადგენდა ისეთი ტიპის საქონელი და მომსახურება, რომელთა მიერ ხორციელდება ენერგორესურსების პირდაპირი მოხმარება, გააჩნიათ სასიცოცხლო ციკლის დანახარჯები, მათი ექსპლუატაციის შედეგად ხდება გარემოზე ზემოქმედება და აგრეთვე, შესაძლოა გააჩნდეთ გარკვეული სოციალური ეფექტი. ამ მიზნით, ჯამში, 2018-2022 წლებში გამოცხადებული 250 ტენდერი (თითოეული წლიდან 50 ტენდერი) იქნა შესწავლილი. აღნიშნული ტენდერები გამოცხადებული იყო შემდეგი CPV კოდებით: 16300000-„მოსავლის ასაღები მანქანები", 16600000-„სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო დანიშნულების მანქანა-დანადგარები", 16700000-„ტრაქტორები", 30200000-„კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები", 31100000-„ელექტრომძრავები, გენერატორები და ტრანსფორმატორები", 31500000-„გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები", 34100000-„ავტოსატრანსპორტო საშუალებები", 39700000-„საოჯახო ტექნიკა", 42500000-„გამაგრილებელი და სავენტილაციო მოწყობილობები", 55500000-„სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება" და 90900000-„დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება".

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა ხდება თუ არა მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმების გამოყენება სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ და რა ფორმით ხორციელდება მათი ასახვა სატენდერო პირობებში, იმის გათვალისწინებით, რომ მდგრადი საჯარო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა და შესაბამისი მექანიზმები მხოლოდ ახლა ყალიბდება ქვეყანაში. ამ დოკუმენტის 1-ლ დანართში დეტალურად არის ჩამოთვლილი 2018-2022 წლებში გამოცხადებული ტენდერების 30

[16] მონაცემები აღებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემიდან: https://tenders.procurement.gov.ge/login.php

მაგალითი, რომლებშიც გათვალისწინებული იყო გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმები.

შესყიდვების ანალიზის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია, გამოიყოს მდგრადი შესყიდვების რამდენიმე კრიტერიუმი, რომლებიც გამოიყენება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას; ესენია:

- ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის შემთხვევაში - საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებზე ადაპტირება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამონაბოლქვის შემცირება, ევრო 5 და ევრო 6 ემისიების სტანდარტი, საწვავის მაქსიმალური ხარჯი და ექსპლუატაციის თანმდევი ხარჯები;

- ენერგიის მომხმარებელი სხვადასხვა საქონლის შესყიდვის შემთხვევაში - მოხმარებული ენერგიის მაქსიმალური ზედა ზღვარი და ენერგოეფექტურობის კლასები;

- პრინტერების შესყიდვის შემთხვევაში - კარტრიჯების ბეჭდვის რესურსი;

- სანათი მოწყობილობების და ნათურების შესყიდვის შემთხვევაში - სიცოცხლისუნარიანობის და ენერგომოხმარების კრიტერიუმები;

- დასუფთავების და კვებითი მომსახურებების შესყიდვის შემთხვევაში - მომსახურების გაწევის პროცესში ჩართულ დასაქმებულთა მინიმალური დასაშვები ხელფასი და მსჯავრდებულთა დასაქმება ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

შესწავლილი 250 ტენდერიდან სულ დაახლოებით 35% შეიცავდა სხვადასხვა ტიპის სოციალურ-ეკონომიკურ და გარემოსდაცვით კრიტერიუმებს. კერძოდ, სოციალური კრიტერიუმი - როგორიცაა ტრანსპორტის ადაპტაცია შშმ პირებისთვის; ეკონომიკური კრიტერიუმები – როგორიცაა საწვავის ეკონომია და საოპერაციო ხარჯები; და გარემოსდაცვითი კრიტერიუმი – როგორიცაა ავტომობილის ემისიის სტანდარტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანქანების შესყიდვის ტენდერები უფრო ხშირად შეიცავს ზემოთ აღნიშნულ მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმებს, ვიდრე სხვა საქონლის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერები. თუ შესწავლილ ტენდერებს გამოაკლდება ტენდერები მანქანების შესყიდვაზე, მაშინ სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმების მქონე ტენდერების წილი 35%-დან შემცირდება 29%-მდე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმების გამოყენების რეალური პროცენტი გაცილებით დაბალი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ

შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფო შესყიდვების სისტემიდან შესაბამისი მონაცემების მოძიება ყველა გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით, ვინაიდან თავდაპირველად, შესწავლისთვის შერჩეულ იქნა მხოლოდ ტენდერები სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმების გამოყენების მაღალი ალბათობით (მაგ., ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კრიტერიუმები უფრო მეტად გამოყენებული იქნება სარეცხი მანქანის შესყიდვის ტენდერში, ვიდრე ქსოვილის შესყიდვის ტენდერში).

მიღებული სტატისტიკური მაჩვენებლების შეჯამებისათვის, შესაძლებელია ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმების გამოყენება არ არის სავალდებულო, მათი გამოყენება მაინც ხორციელდება ძირითადად ისეთი საქონლის შესყიდვისას, რომლებზეც ბაზარზე ფართოდაა დამკვიდრებული ეკო-ეტიკეტირების, ენერგოეფექტურობის კლასის და ემისიების სტანდარტის გამოყენების პრაქტიკა. ამასთან ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გამოყენება ხორციელდება ტენდერების მცირე ნაწილში და არ წარმოადგენს არსებული პრაქტიკის სტანდარტს. შესაბამისად ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მათ ამ ფორმით გამოყენებას ექნება რაიმე ხელშესახები, დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი ან ხელს შეუწყობს გარემოზე მიყენებული ზიანის მნიშვნელოვნად შემცირებას ქვეყნის მასშტაბით. თუმცა, ამასთანავე, ასეთი შესყიდვები ერთმნიშვნელოვნად დადებით სოციალურ და ეკონომიკურ გავლენას ახდენს საზოგადოების კონკრეტულ, თუნდაც მცირე ჯგუფებზე; ხოლო, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, დადებით გავლენას ახდენს ჰაერის ხარისხზე ადგილობრივად, კონკრეტული ქალაქების მასშტაბით.

4. დასკვნები

წინამდებარე ანგარიშის შეჯამებისათვის შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების შედეგად, მიღებულია ის ძირითადი მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომელსაც მომავალში დაეფუძნება მდგრადი საჯარო შესყიდვები.

გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებების და ტენდერების ანალიზის შედეგად შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე გამოწვევა არსებულ პრაქტიკაში, რომლებიც გამოვლინდა წინამდებარე კვლების ფარგლებში.

1. სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში ფილტრაციის ფუნქციონალი მდგრადი საჯარო შესყიდვების სრულყოფილი მონიტორინგისათვის:

სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში, ამ ეტაპზე არ არის ჩაშენებული ინფორმაციის ფილტრაციის ის ფუნქციონალი, რომელიც დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემდა მარტივად მოეძებნათ ისეთი ტენდერები, რომლებშიც ჩადებულია მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმები. აღნიშნული ფილტრები, ერთის მხრივ გამოყენებული

იქნებოდა გამჭვირვალობისა და მონიტორინგის მიზნებისათვის, ხოლო მეორე მხრივ დაეხმარებოდა შემსყიდველი ორგანიზაციების თანამშრომლებს, მიმწოდებლებს, სასწავლო დაწესებულებებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მათთვის საჭირო ინფორმაციისა და შემსყიდველი ორგანიზაციების არსებული პრაქტიკის მოძიებაში. ამასთანავე, ამგვარი სისტემური ფილტრების არსებობა აუცილებელია იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მდგრადი საჯარო შესყიდვების ზუსტი წილის იდენტიფიცირება მთლიან საჯარო შესყიდვებში, რათა პოლიტიკის გამტარებელ სახელმწიფო უწყებებს საშუალება ქონდეთ შეაფასონ განხორციელებული რეფორმების ეფექტიანობა.

2. შესყიდვის ობიექტების სასიცოცხლო ციკლის ღირებულების კალკულატორები:

მდგრადი საჯარო შესყიდვების კარგ პრაქტიკას წარმოადგენს საქონლის, მომსახურების და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა არამხოლოდ ყველაზე დაბალი ფასის მიხედვით, არამედ შესყიდვის ობიექტების სრული სასიცოცხლო ციკლის ღირებულების გათვალისწინებით. ამგვარი მეთოდით შესაძლებელია როგორც დანახარჯების, ისე გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება. მაგალითისათვის, სასიცოცხლო ციკლის დანახარჯებში შესაძლებელია ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინება როგორებიცაა: კომპიუტერული მოწყობილობების მიერ მოხმარებული ენერგიის და სხვა საჭირო რესურსების ოდენობა ოპერირებისას, ასევე კომპიუტერული მოწყობილობების განახლების შესაძლებლობა ნაცვლად მათი ახალი მოწყობილობებით ჩანაცვლებისა და ა.შ. იმისათვის, რომ შემსყიდველ ორგანიზაციებს საშუალება ქონდეთ მარტივად გამოითვალონ შესყიდვის ობიექტის სრული სასიცოცხლო ციკლის ღირებულება საჭიროა შემუშავდეს ე.წ. სასიცოცხლო ციკლის ღირებულების კალკულატორები. აღნიშნული ინსტრუმენტი აქტუალურია, როგორც მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ მაღალი ღირებულების მქონე შესყიდვებში, სადაც შესაძლებელია სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებული დანახარჯების მასშტაბური ეკონომიის მიღება, ისე მცირე და საშუალო ზომის შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის, რომელთაც შეზღუდული რაოდენობით ჰყავთ შესყიდვებში ჩართული კვალიფიციური სპეციალისტები.

3. მდგრადი საჯარო შესყიდვის ობიექტების კრიტერიუმები:

გარდა სასიცოცხლო ციკლის ღირებულების კალკულატორების, ასევე მნიშვნელოვანია შემუშავდეს მდგრადი საჯარო შესყიდვების სტანდარტული კრიტერიუმები, რომელთა სატენდერო პირობებში გამოყენება, შემსყიდველ ორგანიზაციებს მარტივად შეეძლებათ დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე. ამ კუთხით, საერთაშორისო პრაქტიკის კარგ მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირის მიერ შედგენილი მწვანე საჯარო შესყიდვების (GPP)

საერთო კრიტერიუმები[17], რომელთა გამოყენება მიზნად ისახავს გარემოს გაუმჯობესებას და სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირებას. გარდა ევროკავშირისა, მსგავსი კრიტერიუმები შემუშავებულია სხვადასხვა ქვეყნებში მსოფლიოს მასშტაბით[18]. ასეთი კრიტერიუმების შემუშავება მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს ბაზრის კვლევაზე დაფუძნებით, იმისათვის რომ ერთის მხრივ შემუშავებული კრიტერიუმებით შესაძლებელი იყოს სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტის მიღება, ხოლო მეორე მხრივ აღნიშნულმა კრიტერიუმებმა არ გამოიწვიოს ბაზარზე კონკურენციის ხელოვნური შეზღუდვა. ამავდროულად ამგვარი კრიტერიუმების შემუშავება სტიმული იქნება შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის განახორციელონ მდგრადი საჯარო შესყიდვები, ვინაიდან მათ არ მოუწევთ დამატებითი რესურსების დახარჯვა შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციების განსაზღვრისათვის ბაზრის კვლევის ეტაპზე.

ზემოთქმული დამატებითი ინსტრუმენტების შემუშავება და იმპლემენტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში საჯარო შესყიდვები დიდწილად არის დეცენტრალიზებული, რის გამოც ქვეყანაში ოპერირებს დიდი რაოდენობით მცირე ზომის შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთაც თავის მხრივ არ გააჩნიათ საკმარისი კვალიფიციური რესურსი, დამხმარე ინსტრუმენტების გარეშე, დამოუკიდებლად, ეფექტიანად განახორციელონ მდგრადი საჯარო შესყიდვები. მაგალითისათვის 2023 წლის მარტის მდგომარეობით, სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში რეგისტრირებული იყო 4,500-ზე მეტი სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაცია[19]. მათ უმეტესობას მცირე ზომის და შესაბამისად ობიექტური მიზეზების გამო, შესყიდვების მიმართულებით კვალიფიციური კადრების არმქონე ორგანიზაციები წარმოადგენენ (მაგალითად: სკოლები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მცირე ზომის კომპანიები, სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი სპორტული კლუბები, მუნიციპალიტეტებს დაქვემდებარებული სხვადასხვა საქმიანობის პროფილის მქონე მცირე ზომის ორგანიზაციები და ა.შ.). ზემოთხსენებული, დამატებითი ინსტრუმენტების შემუშავება და დანერგვა მნიშვნელოვნად დაეხმარება მთლიანად სექტორს, მდგრადი საჯარო შესყიდვების რეალურ, ყოველდღიურ პრაქტიკაში ეფექტიანად განხორციელებისათვის.

---

[17] ევროკავშირის მწვანე საჯარო შესყიდვების კრიტერიუმებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: https://ec.europa.eu/environment/gpp/eu_gpp_criteria_en.htm

[18] სხვა ქვეყნებში მდგრადი შესყიდვების შესყიდვების კრიტერიუმებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: https://www.unep.org/explore-topics/resource-efficiency/what-we-do/sustainable-public-procurement

[19] მონაცემები აღებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემიდან: https://tenders.procurement.gov.ge/login.php

დანართი N1: ტენდერების მაგალითები მდგრადი საჯარო შესყიდვების კრიტერიუმებით

1. ტენდერის ნომერი: 9506-IFT-51207

შესყიდვის ობიექტი: კომპრესირებულ ბუნებრივ აირზე (CNG) მომუშავე საქალაქო ავტობუსები

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: საწვავის მაქსიმალური მოხმარება და ემისიების სტანდარტი

შემსყიდველი ორგანიზაცია: თბილისის სატრანსპორტო კომპანია

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 09.09.2019

2. ტენდერის ნომერი: CON210000356

შესყიდვის ობიექტი: ავტობუსები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 561,140 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ექსპლუატაციის თანმდევი ხარჯები, საწვავის მაქსიმალური მოხმარება, ემისიების სტანდარტი და შშმპ ადაპტირებული

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 18.06.2021

3. ტენდერის ნომერი: CON220000301

შესყიდვის ობიექტი: ავტობუსები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 569,370 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ექსპლუატაციის თანმდევი ხარჯები, საწვავის მაქსიმალური მოხმარება, ემისიების სტანდარტი და შშმპ ადაპტირებული

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 15.09.2022

4. ტენდერის ნომერი: CON210000330

შესყიდვის ობიექტი: ავტობუსები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 521,350 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ექსპლუატაციის თანმდევი ხარჯები, საწვავის მაქსიმალური მოხმარება, ემისიების სტანდარტი და შშმპ ადაპტირებული

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 25.05.2021

5. ტენდერის ნომერი: NAT200006276

შესყიდვის ობიექტი: ავტობუსები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 1,335,000 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ემისიების სტანდარტი და შშმპ ადაპტირებული

შემსყიდველი ორგანიზაცია: მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანო

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 19.03.2020

6. ტენდერის ნომერი: NAT190003055

შესყიდვის ობიექტი: ავტობუსები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 3,419,544 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ემისიების სტანდარტი და შშმპ ადაპტირებული

შემსყიდველი ორგანიზაცია: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 11.02.2019

7. ტენდერის ნომერი: NAT180010244

შესყიდვის ობიექტი: ავტობუსები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 45,000,000 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: საწვავის მაქსიმალური მოხმარება, ემისიების სტანდარტი და შშმპ ადაპტირებული

შემსყიდველი ორგანიზაცია: თბილისის სატრანსპორტო კომპანია

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 05.07.2018

8. ტენდერის ნომერი: SPA210002447

შესყიდვის ობიექტი: ავტობუსები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 1,498,500 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ემისიების სტანდარტი და შშმპ ადაპტირებული

შემსყიდველი ორგანიზაცია: მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანო

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 09.09.2021

9. ტენდერის ნომერი: CON210000343

შესყიდვის ობიექტი: ავტობუსები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 494,200 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ექსპლუატაციის თანმდევი ხარჯები, საწვავის მაქსიმალური მოხმარება, ემისიების სტანდარტი და შშმპ ადაპტირებული

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 08.06.2021

10. ტენდერის ნომერი: CON220000174

შესყიდვის ობიექტი: ავტობუსები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 661,720 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ექსპლუატაციის თანმდევი ხარჯები და ემისიების სტანდარტი

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 23.03.2022

11. ტენდერის ნომერი: NAT220014549

შესყიდვის ობიექტი: მიკროავტობუსი

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 157,522 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ექსპლუატაციის თანმდევი ხარჯები, საწვავის მაქსიმალური მოხმარება და ემისიების სტანდარტი

შემსყიდველი ორგანიზაცია: შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 25.07.2022

12. ტენდერის ნომერი: NAT180017308

შესყიდვის ობიექტი: ავტობუსები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 79,564,320 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: საწვავის მაქსიმალური მოხმარება, ემისიების სტანდარტი და შშმპ ადაპტირებული

შემსყიდველი ორგანიზაცია: თბილისის სატრანსპორტო კომპანია

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 01.11.2018

13. ტენდერის ნომერი: SPA220002504

შესყიდვის ობიექტი: გენერატორები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 20,000 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: საწვავის მაქსიმალური მოხმარება

შემსყიდველი ორგანიზაცია: ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 19.10.2022

14. ტენდერის ნომერი: NAT220012414

შესყიდვის ობიექტი: გენერატორები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 94,488 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: საწვავის მაქსიმალური მოხმარება

შემსყიდველი ორგანიზაცია: შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 27.06.2022

15. ტენდერის ნომერი: NAT220021178

შესყიდვის ობიექტი: კონდიციონერები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 16,600 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ენერგოეფექტურობის კლასი A+

შემსყიდველი ორგანიზაცია: იუსტიციის სახლი

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 17.10.2022

16. ტენდერის ნომერი: NAT220021444

შესყიდვის ობიექტი: კონდიციონერები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 8,850 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ენერგოეფექტურობის კლასი A

შემსყიდველი ორგანიზაცია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 20.10.2022

17. ტენდერის ნომერი: NAT220017507

შესყიდვის ობიექტი: კონდიციონერები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 2,670 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ენერგოეფექტურობის კლასი A

შემსყიდველი ორგანიზაცია: გორის მუნიციპალიტეტის მერია

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 26.08.2022

18. ტენდერის ნომერი: NAT220022491

შესყიდვის ობიექტი: მაცივრები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 7,000 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ენერგოეფექტურობის კლასი A

შემსყიდველი ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 03.11.2022

19. ტენდერის ნომერი: NAT220006686

შესყიდვის ობიექტი: მაცივრები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 17,700 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ენერგოეფექტურობის კლასი A

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 05.04.2022

20. ტენდერის ნომერი: NAT220020933

შესყიდვის ობიექტი: ლაზერული და ფერადი პრინტერები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 134,400 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: კარტრიჯების ბეჭდვის რესურსი

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს პარლამენტის აპარატი

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 12.10.2022

21. ტენდერის ნომერი: NAT220021405

შესყიდვის ობიექტი: A3 ფორმატის ფერადი ლაზერული პრინტერები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 36,816 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: კარტრიჯების ბეჭდვის რესურსი

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 20.10.2022

22. ტენდერის ნომერი: MEP210000014

შესყიდვის ობიექტი: LED სანათები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 29,132,901 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: ენერგომოხმარება

შემსყიდველი ორგანიზაცია: თბილსერვის ჯგუფი

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 08.07.2021

23. ტენდერის ნომერი: MEP210000016

შესყიდვის ობიექტი: ნატრიუმის ორთქლის მაღალი წნევის ნათურები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 295,500 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: სიცოცხლისუნარიანობა

შემსყიდველი ორგანიზაცია: თბილსერვის ჯგუფი

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 19.08.2021

24. ტენდერის ნომერი: NAT220008873

შესყიდვის ობიექტი: ნათურები და პროჟექტორები

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 167,000 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: სიცოცხლისუნარიანობა

შემსყიდველი ორგანიზაცია: სპეციალური პენიტენციური სამსახური

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 05.05.2022

25. ტენდერის ნომერი: NAT220020990

შესყიდვის ობიექტი: შენობის დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 60,000 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: მიმწოდებელი კომპანიის პერსონალის მინიმალური ანაზღაურება

შემსყიდველი ორგანიზაცია: საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 13.10.2022

26. ტენდერის ნომერი: NAT210024448

შესყიდვის ობიექტი: შენობების დალაგება-დასუფთავების მომსახურება

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 90,000 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: მიმწოდებელი კომპანიის პერსონალის მინიმალური ანაზღაურება

შემსყიდველი ორგანიზაცია: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 14.12.2021

27. ტენდერის ნომერი: NAT220022690

შესყიდვის ობიექტი: სპეციალური პენიტენციური სამსახურის საჭიროებისათვის დალაგება-დასუფთავების მომსახურება

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 1,510,000 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: მიმწოდებელი კომპანიის პერსონალის მინიმალური ანაზღაურება

შემსყიდველი ორგანიზაცია: სპეციალური პენიტენციური სამსახური

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 04.11.2022

28. ტენდერის ნომერი: NAT220009454

შესყიდვის ობიექტი: შენობის დასუფთავება და სანიტარიული მომსახურება

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 331,811 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: მიმწოდებელი კომპანიის პერსონალის მინიმალური ანაზღაურება

შემსყიდველი ორგანიზაცია: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 16.05.2022

29. ტენდერის ნომერი: NAT190019366

შესყიდვის ობიექტი: პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულების და დაწესებულების თანამშრომელთა კვებითი მომსახურება

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 73,900,000 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: მიმწოდებელი კომპანიის პერსონალის მინიმალური ანაზღაურება და მსჯავრდებულთა დასაქმება, მათი რესოციალიზაციის და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით

შემსყიდველი ორგანიზაცია: სპეციალური პენიტენციური სამსახური

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 07.10.2019

30. ტენდერის ნომერი: SPA190002814

შესყიდვის ობიექტი: პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულების და დაწესებულების თანამშრომელთა კვებითი მომსახურება

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 90,000,000 ლარი

ტენდერში გამოყენებული მდგრადი საჯარო შესყიდვის კრიტერიუმები: მიმწოდებელი კომპანიის პერსონალის მინიმალური ანაზღაურება და მსჯავრდებულთა დასაქმება, მათი რესოციალიზაციის და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით

შემსყიდველი ორგანიზაცია: სპეციალური პენიტენციური სამსახური

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 22.05.2019

ბიბლიოგრაფია

1. „ენერგოეტიკეტირების შესახებ“ საქართველოს კანონი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4745123?publication=1
2. „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონი: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4873932?publication=1
3. „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4873938?publication=0
4. „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების, აგრეთვე ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ეროვნული მონეტარული ზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N411 დადგენილება: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5536747?publication=0
5. „საჯარო შესყიდვის განხორციელებისას მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი
6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2021 წლის საქმიანობის ანგარიში: http://procurement.gov.ge/files/showfiles?id=753badc3-0ada-4fe4-9639-481664f946ec
7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2020 წლის საქმიანობის ანგარიში: http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=19539b18-4d67-42d9-80a0-12b91622ca28
8. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში: http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=c2f122ad-9047-43a7-9f93-44d615a997ac
9. Procuring the Future – the report of the UK Sustainable Procurement Task Force, 2006: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/69417/pb11710-procuring-the-future-060607.pdf
10. Transforming our world: the 2030 Agenda for Sustainable Development, United Nations: https://sdgs.un.org/2030agenda
11. “How governments spend: Opening up the value of global public procurement”, Open Contracting Partnership, Spend Network: https://www.open-contracting.org/wp-content/uploads/2020/08/OCP2020-Global-Public-Procurement-Spend.pdf